პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 139 (6194)

1978 წ. 18 ივლისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ერთიანული

ამ ტურნირში ბატონ ალექსანდრ პეტროვსკის „დნეპრთან“ თბილისის დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და ისინი მტკიცედ ინარჩუნებენ ლიდერობას. სასიამოვნოა, რომ ძირითად შემადგენლობაში ახალი სახელები გამოჩნდა.

სურათზე: ნ. ბაზაზაშვილი ერთი მათგანია, ვინც ეს-ეს არის ჩაიცვა „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფორმა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

14-15 ივლისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის შედეგები;

2. ახალგაზრდობის დასვენების ნორმიანი მოწყობის საქმეში ფიზიკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის როლის ამაღლებისათვის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები;

3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი კომისიების შესახებ.

ინფორმაცია პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკის ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა 1978-1980 წლების გეგმის პროექტი.

განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ხუციშვილი, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ფილია, ტყიბულის ლენინის სახელობის მაპტის მუშა ნ. გიორგაძე, საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბეჟანიძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეცხოველე კ. მაისურაძე, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. კოდალაევა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. წიკლაური, საქართველოს ალკკ ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ა. კურდოგლიანი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი დ. დვალიშვილი.

ღონისძიებათა გეგმა ერთხმად მტკიცდება.

მოხსენება მეორე საკითხზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი, კომკავშირის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი მ. მალრაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ლომიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მშრ სრულიად საკავშირო კომპლექსის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე გ. შხვაცაბაია, საქართველოს ალკკ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ცხოვრებოვი, საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი თ. შერგელაშვილი, საქართველოს ალკკ წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. სამურანოვი, საქართველოს ალკკ აბარის საოლქო კომიტეტის მდივანი ც. ტაბიძე, საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. კალანდია, საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე ა. ციბაძე და სხვები.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი კომისიები.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა. (საქინფორმი).

ფარიკაობა

ჩემპიონობა დათმო

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. რაპირისტ ვაკეთა ტურნირში 36 ქვეყნის 350 მუშკეტერი ჩაება. სპეციალისტები გამარჯვებას შარშანდელ ჩემპიონს, მინსკელ ა. რომანკოვს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩინებულად იასპარეზა ფრანგმა სპორტსმენმა დ. ფლამანმა და ოქროს მედალს დაეუფლა. რომანკოვი ამჯერად მეორე იყო, მესამე სპარიზო ადგილზე ხ. ჰაინი (გფრ) გავიდა.

შემდეგ შეჯიბრებაში რაპირისტი ქალები ჩაებნენ. მსოფლიოს 1977 წლის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. სიდოროვამ ამჯერადაც აღმავლობით იასპარეზი და პირველობა არავის დაუთმო. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად კ. რაცოვამ (ჩეხოსლოვაკია) და კ. ჰანიშმა (გფრ) დაიკავეს.

სინამდვილე კი ერთია

უმაღლესი ლიგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 15 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0 (1:0).

„დინამო“: გოგია, რუხაძე, ჩიკვაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (ქილაია), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე (ბაზაზაშვილი), შენგელია.

„დნეპრი“: შატობინი, სოლოვიოვი, კუტუზოვი, დემიანენკო, პეტრუხინი, მოტუზი, შლაპაკი (უსენკო), ხაზოილენკო, კუცევი (ტროშკინი), კოვალიოვი, კრამარენკო.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გოლი გვიტანა მ. მაჩაიძემ (21-ე წუთი).

გაფრთხილებულია კრამარენკო.

ზედიზედ მესამე მატჩია, რაც თბილისის „დინამო“ სამი წვინდა ფორვარდით თამაშობს. ექვსი ქუდა, შვიდი გატანილი გოლი — საუცხოო შედეგია. უთუოდ იყო ხელშემწყობი ფაქტორები — საკუთარი მინდორი, არც თუ ძლიერი მეტოქენი, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ უბრძოლველად და იოლად ქულას არც ერთი კოლექტივი არ თმობს, ყველაზე ნაკლებად კი აუტსაიდერი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ შვიდი გოლის ავტორი ხუთი ფეხბურთელია. ესეც, რაღა თქმა უნდა, კარგს ლაპარაკობს ჩვენს გუნდზე.

სამი ფორვარდი. ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელთა ამგვარად გაწყობის გამო მოხდა.

თავისთავად საფეხბურთო სქემები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. სათანადო შემსრულებელთა უყოლობის პირობებში ყველანაირი სქემა, როგორი პროგრესულიც არ უნდა იყოს, უვარგისია. საქმე ის არის, რომ მწვრთნელთა ამ ნაბიჯში არც ხელოვნურობა, და რაც მთავარია, არც მოდის მიყოლა არ იგრძნობა.

უკვე ვთქვით და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: „დინამოს“ თამაში თანდათან მეტ ძალასა და სილამაზეს იძენს. უპირველესი მიზეზი ფეხბურთელთა სპორტული კონდიციების მეთოდური გაუმჯობესების იმთავითვე აღებული გზა, რამაც დღევანდელ ეტაპზე ნახევარდაცვის კარგად თამაშში შეიხა ხორცი. ოღონ არ იყოს ფერმკრთალი დასაწყისის შემდეგ ჩვეული ძალით ამოქმედდნენ მ. მაჩაიძე და ქორიძე, დარასელიას შემომატებამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა თბილისელთა ცენტრის შესაძლებლობანი. მოკლედ კი „დინამო“ იმიტომ გადავიდა სამი ფორვარდით თამაშზე, რომ მინდვრის შუაგულში ამ ფეხბურთელთა სახით გუნდის ტაქტიკური მიზნების გადასაჭრელად სამყოფი ძალა დაიგულა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ნებისმიერ კონკრეტულ მატჩში გუნდმა კვლავ ოთხი ნახევარმცველით თამაშს მიმართოს, ბოლოსდაბოლოს ფეხბურთელთა განლაგების ამა თუ იმ ვარიანტს შექმნილი სათამაშო თუ სატურნირო სიტუაცია, მოცემულ ეტაპზე კოლექტივის წინაშე წამოჭრილი ამოცანა განაპირობებს.

პირველ წრეში „დინამო“ ორჯერ დამარცხდა. ბოლო ხანებში ჩვენცა და თვითონ ფეხბურთელებიც შევეჩვიეთ იმას, რომ გუნდი ან იმარჯვებს, ანდა უარეს შემთხვევაში ფრედ ამთავრებს მატჩს. თქმა არ უნდა, გულგბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ აქაოდა თბილისელები აღმავლობის გზაზე დგანან, დაუმარცხებლად გაიკლიან მეორე წრესაც. ბუნებრივია, მომხიბვლელი პერსპექტივაა, მაგრამ საფეხბურთო პრაქტიკა მეტწილად კანონსგარეშე აცხადებს ამგვარ ოპტიმისტურ ზრახვებს. იქნებ ამიტომაც არის, რომ ნებისმიერი კოლექტივის მწვრთნელთა ლაბორატორიაში უთუოდ შეხვდებით ეგრეთ წოდებულ „დაგეგმილ დამარცხებებს“. არავინ ამბობს, გუნდი მარცხისათვის წინასწარ განწირული, მარცხთან შეგუებული უნდა გამოდიოდეს მინდორზეო (ამ თამაშში არც იცის მსგავსი რეკვერანსები), მაგრამ ფეხბურთის თერმეტი კაცი თამაშობს და გამორიცხულია, მთელი სეზონის მანძილზე ამ ცოცხალმა, სავსებით ჩვეულებრივი ადამიანებით შედგენილმა ორგანიზმმა ოპტიმალურად გამომთელილ მანქანასავით უშეცდომოდ, ერთნაირი განწყობითა და შემართებით იმოქმედოს. ნებისმიერ ძლიერ საფეხბურთო ანსამბლს რეა თვის მანძილზე საკმაოდ გამოჩნდება ხარვეზი — ფსიქოლოგიური მერყეობაცა და ფიზიკური კონდიციების დაქვეითებაც. აქვე მივათვალოთ

(დასასრული მე-3 გვ.).

მოსკოვი ელის აფრიკის ოლიმპიელებს

ალჟირი. ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტი კმაყოფილია, რომ მოსკოვში ოლიმპიური თამაშების ჩატარება დიდ ინტერესს იწვევს აფრიკის ქვეყნებში, და ეს თვმა ხშირადაა ასახული აფრიკის გაზეთების ფურცლებზე, — III აფრიკულ თამაშებზე აკრედიტებულ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ნოვიკოვმა.

ოლიმპიადა-80-სადმი გაზრდილი ინტერესის დამადასტურებელია აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს მე-3 გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობისთვის საბჭოთა დელეგაციის მიწვევა, რომელიც იმის მაჩვენებელიცაა, რომ აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს და საბჭოთა კავშირის სპორტულ ორგანიზაციებს შორის უფრო და უფრო ფართოვდება თანამშრომლობა.

საბჭოთა ხალხი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რათა მოსკოვის თამაშები გახდეს მეგობრობისა და თანასწორობის ჰუმანური ოლიმპიური იდეალების გამოხატულება.

საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცავთ ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, ვგმობთ სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმის მიერ გატარებულ დანაშაულებრივ პოლიტიკას. ყველა პროგრესულ ძალებთან ერთად, საბჭოთა კავშირის სპორტული ორგანიზაციები იბრძვიან რასიზმისა და აპარტეიდისგან საერთაშორისო სპორტული მოძრაობის გაჯანსაღებისთვის, ხაზგასმით აღნიშნა ნოვიკოვმა.

ჩვენ აქტიურად მოვითხოვთ სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტთა გარიცხვას ყველა საერთაშორისო სპორტული ფედერაციიდან.

ნოვიკოვმა აფრიკის სპორტულ ორგანიზაციებს წარმატებები უსურვა III აფრიკულ თამაშებში და იმედი გამოთქვა, რომ ამ კონტინენტის სპორტსმენები ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე.

ნოვიკოვმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირში ოლიმპიადა-80-ისთვის გაწეული მოსამზადებელი სამუშაოების მასშტაბებზე, პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. მან თქვა, რომ წინასწარი მონაცემებით, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს გააშუქებს ყველა კონტინენტის 7400 ჟურნალისტი. აქედან 3800 ელექტრონული პრესის, ხოლო 3600 ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელი იქნება. მათ მოემსახურება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი პრეს-ცენტრი, კავშირგაბმულობის საშუალებები. ყოველ ოლიმპიურ ნაგებობას ექნება თავისი სუბპრეს-ცენტრი, შენდება ახალი ტელე-რადიოკომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ოლიმპიური თამაშებიდან რეპორტაჟების ტრანსლიაციას ყველა კონტინენტზე 18 ფერადი სატელევიზიო და 100 რადიოარხით.

(საკდესი).





ტრადიციას არღალატობენ

გასულ კვირას ხალხმრავლობა იყო კასპის რაიონის სოფელ იგოეთის საჭიდაოზე. აქ გაიმართა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში „სიჯაბუკის თასზე“. ყარაღაჯის, ლამისყანის, ქვემოჭალის, დოესის, ხოვლეს, ოკამის, მეტეხისა და ზემო ხანდაკის 70-მდე ნორჩმა სპორტსმენმა მოსინჯა ნახერხმყარილ სარბიელზე მკლავისა და მუხლის ძალა. გუნდური პირველობა ლამისყანელმა მოჭიდაველებმა დაიკავეს, რომლებმაც ფინალში ზემოხანდაკელ თანატოლებს სძლიეს.

მისასალმებელია, რომ კასპელი ახალგაზრდები არ ღალატობენ მამაპაპურ ტრადიციას და გატაცებით მისდევენ ქართულ ჭიდაობას. რაიონის სპორტკომიტეტი, „კოლმეურნის“ რაისაბჭოსა და კომკავშირის რაიკომთან ერთად ყველაფერს აკეთებს სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარებისთვის.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების საერთო ხედი; დამკვრელები თავიანთ სტიქიაში; ცნობილი მოჭიდავე ი. მალალაშვილი ყურადღებით ადევნებს თვალს ასპარეზობას; დოესელი ა. შაქარაშვილისა და ყარაღაჯელი გ. ლეონიძის შეხვედრის მომენტი, იქვე ხედავთ ამ ორთაბრძოლის არბიტრს, ლ. კაციაშვილს; გამარჯვებული გუნდი.

ე. ხუციურაულის ფოტოები.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

ფეხბურთელი რეგბისტებისა შესახებ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 16 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პოლიტეხნიკი“ (კიევი) — 23:13 (13:0).

„ლოკომოტივი“: შ. ხარშილაძე, ციხკარიშვილი, ჩაჩანიძე, ცხვედიანი, ჯვარიძე, სუთიაშვილი (მგელაძე), ღიბრაძე, ბენდიაშვილი, კილასონია, გაბაძე, ავლასტომოვი, ულენტი, ლიპარტელიანი, მ. ხარშილაძე, გიორგაძე.

„პოლიტეხნიკი“: დეინეკო, ადამარტისი, კოლბასა, ვიდინი, გავრილიუკი (კრივშა), ვაკულენკო, გ. კრამარევი, ტიტოვი, კისლიაკი, ზუბიკი, უკრაინსკი, დობრიეჩერი, იშუტინი (დრემოვი), ნოვიკოვი, გონჩარი.

მსაჯი ვ. ვოიტენასი (კაუნასი).

ტრიბუნაზე თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დავით ყიფიანი შევნიშნეთ. რეგბისტები ფეხბურთის მატჩებს ხშირად ესწრებიან, ეს კი საპასუხო ვიზიტის პირველი შემთხვევა გახლდათ. დათო ორთაბრძოლას თვალყურს ადევნებდა, ამიტომაც მასთან შეხვედრა შესვენებისთვის გადავდეთ.

რკინიგზელებისთვის ახლა ყოველ მატჩს, ყოველ ქულას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისინი კარგა ხანია ვერტხლის მედლების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან და არც ჩემპიონობაზე ფიქრია ზედმეტი. „ლოკომოტივის“ ყველა წევრს ეს კარგად აქვს შეგნებული და ამჟამად სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი თავგამოდებით იბრძვის.

„პოლიტეხნიკის“ სახით მას ამ დღეს საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეხვდა, გუნდი, რომელმაც პირისპირ ბრძოლაში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი სსა დაამარცხა და ფინალური ჯგუფის მიღმა დატოვა.

რკინიგზელთა გამუდმებულ იერიშებს წარმატება მალე მოჰყვა. კილასონიას მიერ დაწყებული კომბინაცია ჯერ ბენდიაშვილმა გააგრძელა, მერე ციხკარიშვილმა და ბოლოს მ. ხარშილაძემ სტუმრების „ქალაქის“ აღებით ანგარიში გახსნა. შუა ტაიმში გიორგაძემ თავისუფალი დარტყმა გაათამაშა და არეკნილი ბურთი მეტოქის ძელებს შორის გაატარა.

„ლოკომოტივი“ შესანიშნავ, თანამედროვე რეგბის თამაშობდა და მეტოქეს თანდათან ავიწროებდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 34-ე წუთი, როცა გიორგაძემ მ. ხარშილაძესთან შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშა, სწრაფად კარგ პოზიციაში გასულს ასევე სწრაფად დაუბრუნდა ბურთი. გიორგაძემ იგი წინ გადაკიდა, თვითონვე მიუსწრო და.. ანგარიში 11:0 გახდა. იქვე კილასონიამ რეალიზაცია გამოიყენა. ტაიმიც ასე დამთავრდა.

რეგბისტები იქვე მოედანზე მხოლოდ 5 წუთს ისვენებენ. ეს ინტერვიუსთვის ძალიან მცირე დროა, მაგრამ, ეფექრობთ, სპორტის მოყვარულებისთვის არც ეს მინი-ინტერვიუ უნდა იყოს უინტერესო.

— გამოგიტყდებით: მარტო ფეხბურთი როდია ჩემი გატაცება, რეგბისტებშიც ბევრი შეგობარი მყავს. ეს ვაქცაცური, ყველაზე უფრო კოლექტიური თამაში ძალიან მომწონს, აი, სწორედ აქ ვლინდება ერთიანი მოქმედების ძალა. „ლოკომოტივის“ წლევანდელი სატურნირო მდგომარეობა ძალიან მახარებს და ვუსურვებ ჩემპიონატში გამარჯვებულთა „ვარცხლბეკის“ უმაღლეს საფეხურზე მენახოს. ბიჭებს ამის დიდი სურვილი აქვთ და ძალაც შესწევთ, მაგრამ ისეთ ზრუნვასა და დახმარებას, როგორსაც ჩვენ გვწევენ, რეგბისტები აშკარად მოკლებულნი არიან. დასანანი კია. ახლა მათ ყველაზე მეტად უნდათ მხარდაჭერა არა მარტო ფიზკულტურულ სპორტულ ორგანიზაციებიდან, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოდან, არამედ მაყურებლებისგანაც მაყურებლის მხარდაჭერას კი, თუ რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ, „დინამოს“ ფეხბურთელებმა ძალიან კარგად კიცით.

ურიგო როდი იქნებოდა თუ ჩვენი გულშემატკივრები ჩემსავით „ლოკომოტივის“ ბედითაც დაინტერესდებიან და მის მომავალ შეხვედრებში აქტიურ მხარდაჭერას გაუწევენ რკინიგზელებს...

თამაშის ბედი შესვენებამდე ჯადაწყდა, ამიტომაც მეორე ტაიმში მასპინძლები მხოლოდ პოზიციისა და, რა თქმა უნდა, ძალების შენარჩუნებაზე უფრო ზრუნავდნენ. ვინაიდან მომავალ კვირას შინ ძნელი შეხვედრა ელით მოსკოველ თანაკლუბელებთან.

მატჩი კი ასე გაგრძელდა. ნოვიკოვმა ჯარიმით ანგარიში შეამცირა. მერე გიორგაძე — მ. ხარშილაძე — გიორგაძის კომბინაცია ჯერ ავლასტომოვმა კიეველთა „ქალაქის“ აღებით, ხოლო მერე კილასონიამ რეალიზაციით დააგვირგვინეს. მერე ვაკულენკომ დაღო ბურთი „ლოკომოტივის“ ჩათვლის მოედანში, რისთვისაც გიორგაძემ „შური იძია“ და ანგარიში 23:7 გახდა. დარჩენილ დროში დრემოვმა და ისევ ნოვიკოვმა მიაღწიეს წარმატებას — 23:13.

ო. გელაშვილი.

კიევში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი — „კიევის თასი“. შეჯიბრების ბოლო დღეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები — პოლონელები — 24:22. მეორე მატჩში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრებმა მოუგო გფრ-ის გუნდს — 24:20. საბოლოოდ ადგილები ტურნირში ასე განაწილდა: სსრ კავშირი I — 8 ქულა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრები — 5, პოლონეთი — 4, სსრ კავშირი II — 3, გფრ — 0.

შვიდი რეკორდი

კლაიპედაში (ლატვია) დამთავრდა სსრ კავშირის XVI საუწყებო ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების ნაკრებმა. მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს I“. გუნდის კოლექტივებს. პირად ჩათვლაში ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. სპორტსმენთა მაჩვენებლებიც მაღალია. 111 მონაწილიდან ოთხმეტმა შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაღალი ნორმატივი, ქალებში — ცხრამ, ვაჟებში — ხუთმა.

სროლის ხაზზე გამოვიდა ხუთი თბილისელი მშვილდოსანი. უფროსდღების ცენტრში იყო ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქეთევან ლოსაბერიძე. თუ თვალს გადავავლებთ მის წლევანდელ შედეგებს, იგი აქაც კარგად უნდა გამოსულიყო. ასეც მოხდა. მ-2 ვარჯიშში, რომელიც მონაწილისგან მოითხოვს ჩინებულ ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ მომზადებას, ქეთევანმა 2489 ქულა დააგროვა და მეხუთე სამატიო ადგილი დაიკავა 51 მოასპარეზეს შორის.

ჩვენი თანამემამულე მოსკოველ ე. გაჩეჩკოს ოთხი ქულით ჩამორჩა, ხოლო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, ტაშკენტელ ო. როგოვას 7 ქულით. ქეთევანმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს ორმოცდაცხრა ქულით გადააჭარბა.

ლოსაბერიძემ კლაიპედაში მეთექვსმეტე შესწორება შეიტანა საქართველოს რეკორდების ცხრილში: 30 მეტრზე ორჯერად სროლაში საქართველოს რეკორდი ამიერიდან 678 ქულას უდრის. ლოსაბერიძე კვლავ ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ახლა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ექვსი სპორტსმენის შემადგენლობით წვრთნას გადის მოსკოვში. იქვე საბოლოოდ დადგინდება იმ ოთხი ქალის ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ივლისის ბოლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების სამატჩო შეხვედრაში, მერე კი ევროპის ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოში ლონდონში გაიმართება.

ქალთა პირად პირველობაში მონაწილეობდა ახალგაზრდა პერსპექტიული ბათუმელი სპორტის ოსტატი ლ. ტოპოროვა („კოლმეურნე“). დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. ლიუდმილა სპორტის ამ სახეობაში ოთხი წლის წინათ მოვიდა და სისტემატური წვრთნა ა. შოუასთან დაიწყო. შარშანწინ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. საქართველოს სოფლის სპორტსმენთა მესამე რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი და სოფლის სპორტსმენთა მესამე საკავშირო თამაშების მესამე პრიზიორი ტოპოროვა კლაიპედაში 34-ე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ მან ქალიშვილების 6 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა: მ-2 ვარჯიშში სპორტის ოსტატი მ. გოდერძიშვილის („ლოკომოტივი“) ხუთი წლის წინანდელი რეკორდი 2261 ქულა 84 ქულით გაიზარდა, მ-1 ვარჯიშში — 1186 ქულა აჩვენა და ათი ქულით გადაამეტა თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ც. სუმბაძის ძველ მიღწევას, რომელიც ექვსი წლის წინ იყო დამყარებული. 30 მეტრზე სროლაში ც. სუმბაძის რეკორდი 303 ქულა იყო. ორი თვის უკან ვოროშილოვგრადში გამართულ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატზე სოხუმელმა სპორტის ოსტატმა მ. გვახარიამ ამ შედეგს ერთი ქულა დაუმატა, ახლა კი ლიუდმილამ კიდევ ერთი ქულა — 305. მანვე გააუქმებინა აგრეთვე, 50, 60 და 70 მეტრზე ორჯერად სროლაში მ. გოდერძიშვილის, თბილისელი ა. ზამისლოვასა და სოხუმელი ი. პენდენინას რეკორდები — 555, 588 და 524 ქულა. ტოპოროვამ პირველს ცხრამეტი ქულით გადაამეტა, მეორეს — თექვსმეტით, მესამეს — ორი ქულით.

ვაჟთა შორის საქართველოს სპორტსმენებმა სუსტად იასპარეზეს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, „კოლმეურნის“ წევრი ვ. ტროპინი (2315 ქულა, 30-ე ადგილი), ლოკომოტიველები ნ. მიქელაძე (2260, 42-ე) და სპორტის ოსტატი ი. ლოგინოვი (2230, 47-ე ადგილი). იმედია, მშვრთნელები დეტალურად გაერკვევიან წარუმატებლობათა მიზეზებში და პრაქტიკულ ღონისძიებებს დასახავენ.

რ. კაცოლაშვილი.

სინამდვილე კი ერთია

დასასრული

ტრავმები, ცალკეულ ფეხბურთელთა აკადემყოფობა და ამის შემდეგ სულაც არ უნდა გვეჩვენოს გაუგებრად გუნდის დროებითი, ხანდახან საკმაოდ ხანგრძლივი წარუმატებლობაც. ეს ყველაფერი ჩვეულებრივია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც მინიმუმამდე ამცირებს ამ არასასურველ ფაქტორებს (რა თქმა უნდა, საუბარია მდიდარი პოტენციების კოლექტივზე).

ოდიგ ფეხბურთელთა მწყობრიდან გადასვლამ (ტრავმები, გაფრთხილებები) იძულებითი ცვლილებები გამოიწვია გუნდის შემადგენლობაში, და თუ ვიტყვით იმას, რომ თამაშის ხარისხი გაუარესებისკენ არ წასულა, ეს კი მართლაც ასეა, თავისთავად გაჩნდება ერთი დასკვნა: „დინამოს“ არც თუ ურიგო რეზერვი ჰყავს, ცალკეულ ფეხბურთელებს კი წარმატებით შეუძლიათ ამპლუის შეცვლა. საუბარია რუხაძეზე და ბახბახაშვილზე, საუბარია ჩიტაძეზე და გ. მაჩაიძეზე. და კიდევ ერთი: გუცაევის მინდორზე ლაბარუნებამ ახალი ელფერი შემატა დინამოელთა შეტევებს. და მაინც, ამ შესანიშნავი ფორვარდისთვის ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ვლადიმერს მართებს და უნდა ითამაშოს კიდეც უფრო უკეთესად.

ყოველ მატჩს უთუოდ მოაქვს რაღაც ახალი — ხან სასიხარულო, ხანაც საწყენი. „დნეპრთან“ შეხვედრაში მანუჩარ მაჩაიძის მიერ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია. გოლი მართლაც რომ ლამაზი იყო. გულახდილად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში თვით გოლის ფაქტზე მეტად, უფრო მანუჩარის ავტორობამ გამახარა. ისიც მგონია, რომ ამგვარი განცდა მარტო ამ სტრიქონების ავტორს არ ჰქონია. წლეულს დინამოელთა კაპიტნის არა ერთსა და ორ ასეთ „გასროლას“ ხან ძელი ეღობებოდა, ხან — მეკარის თავგანწირული ნახტომი. იღბალს „დინამოს“ ნახევარმცველისა ნამდვილად ემართა და აკი გატყდა კიდეც ნავსი.

ამ გოლის შემდეგ მატჩის მიწურულამდე „დნეპრმა“ თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ საწადელი ვერ აისრულა. თბილისელებმა, რაკიღა დიდი ანგარიშით გამარჯვება ვერ მოხერხდა, შეხვედრის ბოლოს თანდათან უკლეს ტემპს, მინიმუმამდე შეამცირეს მეტოქის სახიფათო კონტრშეტევათა რიცხვი და 90 წუთის მანძილზე საკმაოდ საგრძნობი უპირატესობა ორ ქულად აქციეს.

სეზონის დასაწყისში ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისის „დინამოს“ ლიდერობაზე, როგორც დროებით, შემთხვევით მოვლენაზე. ის ორად ორი მარცხიც და აქა-იქ უფრულად ნათამაშევი მატჩიც ზოგიერთებმა საამისო საბუთად მოიშველიეს. ახლა ერთობ გაცხოველდა მითქმა-მოთქმა ჩვენი გუნდის შესაძლო ჩემპიონობაზე. მოსალოდნელია, სიტუაცია კელავ შეიცვალოს, მოსალოდნელია ისევ ალპარაკდნენ დროებით „იღბლიანობასა“ და სხვათა „ჩავარდნებზე“. ეს არაფერი. მთავარია გუნდმა, რომ იტყვიან, ცალი ყურით ისმინოს და თავისი საქმე აკეთოს. თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარი მაცდური აკეთაკეი წარმავალია და მართლაც რომ დროებითი. ერთადერთი სინამდვილე კი ქართული ფეხბურთის წინაშე გადაუხდელი ვალია.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათებზე: ახალგაზრდა მცველი ი. რუხაძე მეტოქის საჭარიმოსთან; რ. ჩელებაძე უხერხულ მდგომარეობაში მაინც აწერხებს მეტოქის კარში ბურთის დარტყმას.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

15 და 16 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„ქაირათი“ — „ნეფთჩი“ 0:0.
„არარატი“ — „ფახთაკორი“ 1:0
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1.
„დინამო“ კ. — „ზარია“ 4:1.
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“ 0:0.
ცსკა — „ზენიტი“ 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„დინამო“ თბ.	16	11	3	2	23—11	25
„შახტიორი“	15	10	1	4	20—12	21
„ჩერნომორი“	16	8	5	3	24—13	21
ცსკა	16	9	2	5	20—19	20
„დინამო“ კ.	16	6	7	3	24—13	19
„ტორპედო“	16	6	5	5	19—15	17
„დინამო“ მ.	15	6	5	4	18—13	17
„ზენიტი“	16	5	6	5	19—21	16
„სპარტაკი“	16	6	3	7	21—21	15
„ზარია“	16	5	3	8	19—24	13
„ფახთაკორი“	16	4	5	7	22—22	13
„ლოკომოტივ“	16	4	5	7	15—22	13
„ქაირათი“	16	4	5	7	14—22	13
„ნეფთჩი“	16	4	5	7	11—15	13
„არარატი“	16	4	2	10	8—23	10
„დნეპრი“	16	3	2	11	12—23	8

დიდი ფეხბურთის პრიზები

დამთავრდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრე (ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ მოსკოვის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩი). საინტერესოა რა მდგომარეობაა სპეციალური პრიზებისთვის ბრძოლაში?

დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩისთვის („ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზი) ლიდერობს კიევის „დინამო“, რომელსაც 3 მოგება აქვს დიდი ანგარიშით. 2-2 ასეთი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის „ტორპედომ“, ოდესის „ჩერნომორეცმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“.

საუკეთესო გოლგარდირ ს. „ტრუდის“ რედაქციის პრიზისთვის ბრძოლაში წინაა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი გ. იარცევი — 13 გოლი. თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ გაიტანა 9 ბურთი, ო. ბლოხინმა (კიევის „დინამო“) და ა. ბელენკოვმა (ცსკა) — 8-8.

აგრესიული სტუმრის პრიზი დაწესებულია უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას“ მიერ. ოდესის „ჩერნომორეცმა“ მეტოქეთა მინდორებზე აიღო 9 ქულა, თბილისისა და კიევის დინამოელებმა — 8-8.

საუკეთესო დუგლიორეები. აქ დაწინაურდნენ თბილისის დინამოელები, რომლებსაც 15 თამაშში 22 ქულა აქვთ დაგროვილი. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ცსკა და „ნეფთჩი“.

ორი შემადგენლობით. ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამში ლიდერია თბილისის „დინამო“ — 45 ქულა (23 — ძირითად შემადგენლობას, 22 — დუბლიორებს).

გ. ფედოტოვის სახელობისა. I ტურის შემდეგ ყველაზე უფრო შედეგიანია ოდესის „ჩერნომორეცი“, რომელმაც 23 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში.

საუკეთესო მეკარეს. ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზისთვის ბრძოლაში წინაა ოდესის „ჩერნომორეცის“ მეკარე ი. რომენსკი, რომელმაც 13 მატჩში გაუშვა 10 გოლი.

გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის. გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზი გადაეცემა გუნდს, რომელიც მოიგებს ყველაზე მეტ ისეთ მატჩს, სადაც წინ მეტოქე იყო. თბილისის „დინამოს“ 3 ასეთი გამარჯვება აქვს: „ჩერნომორეცთან“ — 2:1 (0:1), „ქაირათთან“ — 2:1 (0:1) და ცსკა-სთან — 2:1 (0:1).

საუკეთესო სხვაობისთვის (უკრაინის ჟურნალ „სტარტის“ პრიზი). გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა I წრეში აქვს ოდესის „ჩერნომორეცს“ +13.

სამართლიანი თამაშისთვის. ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ პრიზზე ბრძოლაში დაწინაურდა ბაქოს „ნეფთჩი“, რომელსაც არა აქვს არც ერთი გაფრთხილება და გაძევება.

„პროგრესის თასი“. ოდესის „ჩერნომორეცი“ და ცსკა პრეტენდენტები არიან უკრაინის „რაბოჩაია გაზეტას“ პრიზისთვის ბრძოლაში. ოდესელებმა შარშანდელთან შედარებით 6 საფეხურით აიწიეს მაღლა, ხოლო არმიელებმა — ათით.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჩემპიონის თასის გათამაშება ფეხბურთში, ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის, რომლის გადამწყვეტ ეტაპზე 8 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ

ჩჩხამურის ჩაის

ჩჩხამურელთა წარმატება

ოჩჩამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ქობულეთის რაიონის ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობის გუნდები. მატჩი, დამატებითი დროის ჩათვლით, დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. 11-მეტრიანი დარტყმების სერიამ წარმატება მოუტანა ოჩხამურელებს (ძწვრთნელი ა. კეირკეელია), რომლებსაც გადაეცათ თასი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

II წრის კალენდარი

I ლიგა

ივლისი

23. „შინიკი“ — „სპარტაკი“ ორ.
„დინამო“ ლდ. — „თერგი“
„ნისტრუ“ — „ტავრია“
„კარპატი“ — ასკ რ.
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „ტორპედო“
„კუზბასი“ — „უუბანი“
„კრილია სოვეტოვი“ — „ურალმაში“
ასკ ოდ. — „მეტალურგი“

27. „შინიკი“ — „თერგი“
„დინამო“ ლდ. — „სპარტაკი“ ორ.
„ნისტრუ“ — „მეტალურგი“
ასკ ოდ. — „ტავრია“
„კარპატი“ — „ტორპედო“
„სპარტაკი“ ი.-ფ. — ასკ რ.
„კუზბასი“ — „კრილია სოვეტოვი“
„ურალმაში“ — „უუბანი“

აგვისტო

1. „კუზბასი“ — „დინამო“ მნ.
„ურალმაში“ — „ყალგირისი“
„კრილია სოვეტოვი“ — „დინამო“ ლდ.
„უუბანი“ — „შინიკი“
„თერგი“ — ასკ ოდ.
„სპარტაკი“ ორ. — „ნისტრუ“
„პამირი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„კოლხოზჩი“ — „კარპატი“
„მეტალურგი“ — „ტორპედო“
„ტავრია“ — ასკ რ.

5. „კუზბასი“ — „ყალგირისი“
„ურალმაში“ — „დინამო“ მნ.
„კრილია სოვეტოვი“ — „შინიკი“
„უუბანი“ — „დინამო“ ლდ.
„თერგი“ — „ნისტრუ“
„სპარტაკი“ ორ. — ასკ ოდ.
„პამირი“ — „კარპატი“
„კოლხოზჩი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
ასკ რ. — „მეტალურგი“

9. „შინიკი“ — „დინამო“ მნ.

13. „შინიკი“ — „ურალმაში“
„დინამო“ ლდ. — „კუზბასი“
„დინამო“ მნ. — „უუბანი“
„ყალგირისი“ — „კრილია სოვეტოვი“
„ნისტრუ“ — „კოლხოზჩი“
ასკ ოდ. — „პამირი“
„კარპატი“ — „სპარტაკი“ ორ.
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „თერგი“
„ტორპედო“ — „ტავრია“

17. „შინიკი“ — „კუზბასი“
„დინამო“ ლდ. — „ურალმაში“
„დინამო“ მნ. — „კრილია სოვეტოვი“
„ყალგირისი“ — „უუბანი“
„ნისტრუ“ — „პამირი“
ასკ ოდ. — „კოლხოზჩი“
„კარპატი“ — „თერგი“
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „სპარტაკი“ ორ.
ასკ რ. — „ტორპედო“
„მეტალურგი“ — „ტავრია“

22. „თერგი“ — „ყალგირისი“
„სპარტაკი“ ორ. — „დინამო“ მნ.
„პამირი“ — „დინამო“ ლდ.
„კოლხოზჩი“ — „შინიკი“
„ურალმაში“ — „კუზბასი“
„უუბანი“ — „კრილია სოვეტოვი“

23. „ტორპედო“ — „ნისტრუ“
ასკ რ. — ასკ ოდ.
„ტავრია“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„მეტალურგი“ — „კარპატი“

26. „თერგი“ — „დინამო“ მნ.
„სპარტაკი“ ორ. — „ყალგირისი“
„პამირი“ — „შინიკი“
„კოლხოზჩი“ — „დინამო“ ლდ.

27. „ტორპედო“ — ასკ ოდ.
„ნისტრუ“ — ასკ რ.
„ტავრია“ — „კარპატი“
„მეტალურგი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.

31. „კუზბასი“ — „სპარტაკი“ ორ.
„ურალმაში“ — „თერგი“
„კრილია სოვეტოვი“ — „კოლხოზჩი“
„უუბანი“ — „პამირი“
„შინიკი“ — ასკ რ.
„დინამო“ ლდ. — „ტორპედო“
„დინამო“ მნ. — „მეტალურგი“
„ყალგირისი“ — „ტავრია“
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „ნისტრუ“
ასკ ოდ. — „კარპატი“

სექტემბერი

4. „ურალმაში“ — „სპარტაკი“ ორ.
„კუზბასი“ — „თერგი“
„კრილია სოვეტოვი“ — „პამირი“
„უუბანი“ — „კოლხოზჩი“
„შინიკი“ — „ტორპედო“
„დინამო“ ლდ. — ასკ რ.
„დინამო“ მნ. — „ტავრია“
„ყალგირისი“ — „მეტალურგი“
ასკ ოდ. — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„კარპატი“ — „ნისტრუ“

21. „ტორპედო“ — „დინამო“ მნ.
ასკ რ. — „ყალგირისი“
„ტავრია“ — „დინამო“ ლდ.
„მეტალურგი“ — „შინიკი“
„თერგი“ — „უუბანი“
„სპარტაკი“ ორ. — „კრილია სოვეტოვი“
„პამირი“ — „ურალმაში“
„კოლხოზჩი“ — „კუზბასი“
„ნისტრუ“ — ასკ ოდ.
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „კარპატი“

25. „ტორპედო“ — „დინამო“ მნ.
ასკ რ. — „ყალგირისი“
„ტავრია“ — „შინიკი“
„მეტალურგი“ — „დინამო“ ლდ.
„თერგი“ — „კრილია სოვეტოვი“
„სპარტაკი“ ორ. — „უუბანი“
„პამირი“ — „კუზბასი“
„კოლხოზჩი“ — „ურალმაში“

29. „კუზბასი“ — ასკ ოდ.
„ურალმაში“ — „ნისტრუ“
„კრილია სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„უუბანი“ — „კარპატი“
„თერგი“ — „ტავრია“
„სპარტაკი“ ორ. — ასკ რ.
„პამირი“ — „ტორპედო“
„კოლხოზჩი“ — „მეტალურგი“
„შინიკი“ — „დინამო“ ლდ.

ოქტომბერი

8. „კუზბასი“ — „ნისტრუ“
„ურალმაში“ — ასკ ოდ.
„კრილია სოვეტოვი“ — „კარპატი“
„უუბანი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„თერგი“ — „მეტალურგი“
„სპარტაკი“ ორ. — „ტავრია“
„კოლხოზჩი“ — „ტორპედო“
ასკ რ. — „პამირი“
„დინამო“ მნ. — „ყალგირისი“

8. „ნისტრუ“ — „უუბანი“
ასკ რ. — „კრილია სოვეტოვი“
„კარპატი“ — „ურალმაში“
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „კუზბასი“
„ტორპედო“ — „სპარტაკი“ ორ.
ასკ რ. — „თერგი“
„ტავრია“ — „პამირი“
„სპარტაკი“ ორ. — „მეტალურგი“
„ყალგირისი“ — „დინამო“ ლდ.
„დინამო“ მნ. — „შინიკი“

17. „კუზბასი“ — ასკ
„ურალმაში“ — „ტავრია“
„კრილია სოვეტოვი“ — „ტორპედო“
„უუბანი“ — „მეტალურგი“
„შინიკი“ — „კარპატი“
„დინამო“ ლდ. — „ნისტრუ“
„თერგი“ — „სპარტაკი“ ორ.
ასკ ოდ. — „დინამო“ მნ.
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „ყალგირისი“

21. „ნისტრუ“ — „დინამო“ მნ.
„კარპატი“ — „ყალგირისი“

26. „შინიკი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„დინამო“ ლდ. — ასკ ოდ.
„ტორპედო“ — „უუბანი“
ასკ რ. — „ურალმაში“
„ტავრია“ — „კრილია სოვეტოვი“
„მეტალურგი“ — „კუზბასი“.
„პამირი“ — „კოლხოზჩი“

30. „ტორპედო“ — „ურალმაში“
ასკ რ. — „უუბანი“
„ტავრია“ — „კუზბასი“
„კრილია სოვეტოვი“ — „მეტალურგი“
„დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ ი.-ფ.
„ყალგირისი“ — ასკ ოდ.
„ნისტრუ“ — „შინიკი“
„კარპატი“ — „დინამო“ ლდ.
„პამირი“ — „სპარტაკი“ ორ.
„კოლხოზჩი“ — „თერგი“

ნოემბერი

3. „ტორპედო“ — „კუზბასი“
„კრილია სოვეტოვი“ — ასკ რ.
„უუბანი“ — „ტავრია“
„მეტალურგი“ — „ურალმაში“
„დინამო“ მნ. — „კარპატი“
„ყალგირისი“ — „ნისტრუ“
ასკ რ. — „შინიკი“
„სპარტაკი“ ი.-ფ. — „დინამო“ ლდ.
„თერგი“ — „პამირი“
„სპარტაკი“ ორ. — „კოლხოზჩი“

ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ტბა დიდი ხანია გადაიქცა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლისა და საზოგადოებების ნიჩბოსნების საწვრთნელ კერად. აქ ყოველდღე ასობით ახალგაზრდა სრულყოფს ტექნიკას.

გალის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი კი შედარებით ახალი ბაზაა, მაგრამ სპეციალისტების საერთო აღიარება ჰპოვა — აქ უკვე არაერთ ტურნირს უმასპინძლეს. მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრები საკავშირო სტარტებისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჰ. მარეხაშვილის ხელმძღვანელობით სწორედ აქ ემზადება.

სურათებზე: ვარჯიშის მომენტი ბათუმის პიონერთა პარკის ტბაზე; ჰ. მარეხაშვილი მითითებას აძლევს ნიჩბოსნებს.

ნ. ანასტასიევისა და ვ. მორგუნოვის ფოტოები. (საქინფორმი).

ჭიდაობა

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მულახელებმა იზეიმეს ახალი სპორტული კომპლექსის გახსნა, სადაც იქაური ახალგაზრდები დიდი მონდომებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობებს. სასიხარულო შედეგმაც არ დააყოვნა — ამას წინათ მესტიაში გაიმართა სახელოვანი მთამსვლელის მიხეილ ხერვიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, რომელშიც ასპარეზობდნენ დინამოელი ფალავნები თბილისიდან, სოხუმიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, მესტიიდან და სოფელ მულახიდან. შეჯიბრება მოაწყო „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მესტიელმა ძიუდოისტებმა 4 პირველი ადგილი მოიპოვეს — გ. ჩართოლანი, ხ. ჟორჟოლიანი, ე. ნაკანი, დ. ნავერიანი. გამარჯვებულთა შორის იყვნენ თბილისელები მ. ჭელიძე და ზ. ადუაშვილი, ქუთაისელი ტ. გამრეკელიშვილი

ც ხერგიანი.

ჩოგბურთი

თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები ამ დღეებში საქართველოს მოზარდ ჩოგბურთელთა პირად ჩემპიონატს მასპინძლობდა.

ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩოგბურთის გეოგრაფია ერთობ ვიწროა, ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა. გამარჯვებულთა შორის მხოლოდ თბილისელები ვიხილეთ. გამონაკლისს წარმოადგენდა სოხუმელი მოსწავლე ი. ბლუაშვილი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა უფროსი ასაკის გოგონათა შორის. უმცროსი ასაკის გოგონათა ტურნირი ი. მალაკიძემ მოიგო, საშუალო ასაკში უძლიერესი იყო კ. პეტროსიანი.

ჭაბუკ ჩოგბურთელთა შორის პირველი ადგილები ასე განაწილდა: უმცროსი ასაკი — ვ. ხურდა, საშუალო ასაკი — ა. სეხნიაშვილი, უფროსი ასაკი — გ. ზამბახიძე.

კალათბურთი

სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდი ტურნეს მართავს იტალიაში. კუნძულ სიცილიის ქალაქ მესინაში საბჭოთა კალათბურთელებმა პირველ მატჩში დაამარცხეს აშშ-ს გუნდი — 97:67.

აწყობილი თამაშით

ვილნიუსი, 17 ივლისი (დპე შით. ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ XIX საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ხელოვნების მუშაკთა სასახლის თეთრ დარბაზში მიმდინარეობს, შაბათ-კვირას მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და IV ტურის შეხვედრები.

გადადებული პარტიის დამთავრების დღეს თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ბ. გულკო — ვ. მიკენასი, ი. დორფმანი — მიკენასი, კ. კაიშაური (შვეცია) — ა. ბელიავსკი. მ. ჩიბურდანიძემ დათმო პარტია ი. ლეხტინსკისთან (ჩეხოსლოვაკია), რომელშიც ხარისხი აკლდა.

კაიშაურმა შეუპოვარი თამაშით შეძლო ტექნიკურად ძნელი ენდშპილის მოგება მ. დვორეცკისთან.

IV ტურში ხუთი პარტია გადაიდო. ჩიბურდანიძეს ამერიკელ დიდოსტატ ს. რეშევსკისთან უარესი პოზიცია აქვს, კაიშაურს ი. ჩომთან (უნგრეთი) პაიკი აკლია, გულკოს ლეხტინსკისთან — ორი. თანაბარი პოზიციაა ვ. ტუკმაკოვ — მიკენასის პარტიაში. პეტროსიანს უპირატესობა აქვს გ. პემინასთან.

დორფმანმა ინგლისური დაცვით დაწყებულ პარტიაში გ. ლეგრედოს (კუბა) ორი პაიკი მოუგო. 42-ე სვლაზე კუბელი ოსტატი დანებდა. ვოლგის გამბიტში ბელიავსკი ინიციატივას დაეუფლა და 29-ე სვლაზე დაამამათა მ. დამიანოვიჩის (იუგოსლავია) გვირგვინოსანი. დაზავდნენ ლ. ესპიგი (გდრ) — დვორეცკი.

4 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ვ. ტუკმაკოვი, კ. კაიშაური, ბ. გულკო — 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ა. ბელიავსკი ი. დორფმანი და ლ. ესპიგი — 2,5-2,5.

ბ. ფამილიანტი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ფავორიტებმა წააგეს

ამსტერდამში სტარტი აიღო საჭადრაკო ფესტივალმა, რომელშიც ათასამდე მოჭადრაკე მონაწილეობს. ყველა განაწილდა ტურნირებში თავისი ძალის (კლასიფიკაციის) მიხედვით. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრშია ტურნირი, რომლის 14 მონაწილეს შორის არიან ცნობილი დიდოსტატები ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), უ. ბრაუნი (აშშ), ო. რომანიშინი (სსრ კავშირი), ე. მაილსი (ინგლისი), ი. ტიმანი (ჰოლანდია), ხ. ჰფლეგერი (გფრ), უ. ანდერსონი (შვეცია), ზ. რიბლი და ა. ადორიანი (ორივე — უნგრეთი).

I ტური სენსაციით აღინიშნა: ახალგაზრდა იუგოსლავიელმა ოსტატმა ი. ნიკოლიჩმა დაამარცხა აშშ-ს ჩემპიონი ბრაუნი, რიბლმ ფარ-ხმალი დააყრევინა ჰორტს.

საბჭოთა დიდოსტატი რომანიშინი კ. ლანგე